KA030131460629619

№ 01-13282 **22 / ივლისი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს,
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის,
კახაბერ ძიმისტარიშვილის

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 4 ივლისს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდეგში - „სამინისტრო“) შიდა აუდიტის დეპარტამენტში შემოვიდა სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდეგში - „სააგენტო“) N04/36495 წერილი და სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის 2019 წლის 4 ივლისის მოხსენებითი ბარათი (N 04-11921) თანდართული მასალებით.

წარმოდგენილ ინფორმაციაში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ადგილი ჰქონდა სააგენტოში დასაქმებული პირების მიერ, სამართლებრივი საფუძვლების გარეშე, სააგენტოს გამოყოფილ ფართში შესანახად და დაცვის მიზნით, დროებით განთავსებული დოკუმენტაციის მითვისებასა და განადგურებას. კერძოდ, მათი მაკულატურის სახით ჩაბარების სანაცვლოდ მიღებული თანხის პირადი სარგებლობისათვის გამოყენებას.

აღნიშნული დოკუმენტაცია, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 12 მარტის N01-54/ო ბრძანების შესაბამისად, გადაეცა სააგენტოს და ეთხოვა, დროებითი განთავსებისთვის საჭირო ფართის გამოყოფა, დოკუმენტაციის ***სათანადო შენახვისა და დაცვის უზრუნველყოფა*** და ამ მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების გატარება. დოკუმენტაცია შეიცავდა საქართველოს დასაქმების სახელმწიფო მინისტრის აპარატის ლიკვიდაციის შემდეგ, სალიკვიდაციო კომისიის მიერ სამინისტროსთვის გადაცემულ სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის კითხვარის შევსებულ ფორმებს (შემდეგში - „დოკუმენტაცია“).

წარმოდგენილი მასალებიდან იკვეთება, რომ სააგენტოში რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც იქნებოდა განმსაზღვრელი მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანების შესრულების მიზნით განსახორციელებლ ღონისძიებებისა და მასზე პასუხისმგებელ პირებისა, არ შექმნილა. მხოლოდ ზეპირსიტყვიერად დაევალა სააგენტოს კონკრეტულ დასაქმებულ პირს საცავის გასაღების ფლობა.

სააგენტოს ზემოთ მითითებული წერილით წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა შეისწავლა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს პასუხისმგებელი პირების მხრიდან განხორციელებული საქმიანობა და სამინისტროში არსებული დოკუმენტების განადგურების არსებული პრაქტიკა. ორივე საკითხთან დაკავშირებით, სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის მიერ მოცემული იყო ზეპირი განმარტებები და წარმოდგენილი იყო შესაბამისი დოკუმენტები.

დოკუმენტების შესწავლის ეტაპზე დადგინდა, რომ 2013 წლის 13 მარტს, სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, განხორციელდა სამინისტროს კუთვნილი საარქივო დოკუმენტაციის *(სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის კითხვარის შევსებული ფორმები, საერთო რაოდენობით 593 174 ცალი - 330 ყუთი)* სააგენტოს მიერ გამოყოფილ ფართში, ქ. თბილისის ინგოროყვას ქ. N7-დან ჯავახიშვილის ქ. N51-ში, გადაზიდვა. აღნიშნული მომსახურების მიწოდების თაობაზე 2013 წლის 14 მარტს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი N64.

მინისტრის ბრძანებით, სამინისტროს მხრიდან ***დოკუმენტაციის მიმღებ*** უფლებამოსილ პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრნენ სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი (ნანა ალანია) და სამმართველოს ორი სპეციალისტი (ნათელა მენთეშაშვილი, ნაილი ჭეჭელაშვილი).

დასაწყობების შემდგომი შენახვის მიზნით, დოკუმენტაციის გადაბარების შესახებ რაიმე სახის დოკუმეტი, სამინისტროს საქმის წარმოების სამმართველოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი. წარმოდგენილი იყო, მხოლოდ 2014 წლის 11 ივნისს და 8 აგვისტოს შედგენილი აქტები, რომელსაც სამინისტროს მხრიდან ხელს აწერს მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ორი სპეციალისტი და მეორე მხარის - აღნიშნულ პერიოდში შენობის მოსარგებლე სუბიექტის, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ წარმომადგენლები. ამასთან, 2014 წლის 11 ივნისით დათარიღებული აქტის მიხედვით ირკვევა, რომ მოხდა ერთ-ერთი დალუქული

ოთახის გახსნა, რის შემდეგაც ოთახი კვლავ დაილუქა და ლუქის უვნებლობაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრს“.

2014 წლის 8 აგვისტოს აქტში კი აღნიშნულია, რომ ***<u>მოხდა ყუთების სხვა შენობაში გადატანა.</u>*** ამის შემდეგ, შენობის ოთახი, რომელშიც მოხდა ყუთების გადატანა, დაილუქა (ლუქი N003922734) და ლუქის უვნებლობაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს დამხმარე მოსამსახურეებს (არქივარიუსებს) ნათელა მენთეშაშვილსა და ნაილი ჭეჭელაშვილს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პასუხისმგებელი პირების მხრიდან დოკუმენტაციის განადგურების ფაქტის დადგენამდე (2019 წლის 24 მაისი), ერთხელ მოხდა საცავში დოკუმენტაციის შემოწმება, რა დროსაც განხორციელდა ახალი ლუქის დადება, მხოლოდ საცავში შესასვლელ მთავარ კარზე, რადგანაც სამინისტროს კუთვნილი დოკუმენტაცია უკვე მოქცეული იყო სააგენტოს სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტის საცავის სივრცეში. ლუქის აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით, რაიმე სახის დოკუმეტის შედგენას ადგილი არ ჰქონია. შედეგად, გადმოცემული დოკუმენტაციის დასაწყობების შემდეგაც, პასუხისმგებლ პირებად რჩებიან მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული პირები.

ამდენად, მინისტრის ბრძანებით, საქართველოს დასაქმების სახელწიფო მინისტრის აპარატის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ყველა დოკუმენტის მიმღები უფლებამოსილი პასუხისმგებელი პირების მიერ ვერ იქნა გატარებული შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, აღნიშნული პირების მიერ არ განხორციელებულა დოკუმენტაციის შემდგომი სათანადო შენახვისა და დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სააგენტოს პასუხისმგებელი პირ(ებ)ისათვის ფორმალური (დოკუმენტურად გაფორმებული) გადაბარება, რის გამოც პასუხისმგებლობა ვერ იქნა დაკისრებული შენახვაზე და/ან დაცვაზე პასუხისმგებელ პირებზე, რამაც არასათანადო კონტროლის გამო შემდგომში გამოიწვია დოკუმენტაციის განადგურება.

სამინისტროში არსებული დოკუმენტების განადგურების პრაქტიკასთან დაკავშირებით, მოცემული განმარტებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სამინისტროში მოქმედებს, მინისტრის 2018 წლის 7 დეკემბრის N01-1326/ო ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოებისა და საარქივო საქმიანობის განმხილველი ცენტრალური საექსპერტო კომისია, რომელიც საქმიანობას წარმართავს, ამავე ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. ცნობისათვის, აღნიშნული ბრძანებით გაუქმებული იყო 2015 წლის 30 მარტის N 01-96/ო ბრძანებით დამტკიცებული წინა საექსპერტო კომისია და მისი დებულება. შესაბამისად, სამინისტროში ყოველთვის ფუნქციონირებდა აღნიშნული საექსპერტო კომისია.

დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საექსპერტო კომისიის ერთერთი ამოცანაა სამინისტროს საქმიანობის პროცესში შექმნილი დოკუმენტების ორგანიზაცია მათი მუდმივი შენახვისა და გასანადგურებლად გამოყოფის მიზნით .

დებულების მიხედვით, საექსპერტო კომისიის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს, სამინისტროს საქმეთა ნომენკლატურების, საუწყებო ნუსხების, მუდმივად და ხანგრძლივად შესანახ საქმეთა ჩანაწერების (მათ შორის, პირადი შემადგენლობის), ვადაგასულ საქმეთა გასანადგურებლად გამოყოფის აქტების, აგრეთვე, საქმისწარმოებისა და საარქივო საქმის საკითხებზე შემუშავებული ნორმატიული-მეთოდური დოკუმენტების პროექტების განხილვა და დადგენილი წესით, მათი ეროვნული არქივის საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიაზე წარდეგნა დასამტკიცებლად ან/და შესათანხმებლად (დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).

მასალების ანალიზით დგინდება, რომ საექსპერტო კომისია, 2007 წლიდან, პერიოდულად ახორციელებდა თავის ზემოაღნიშნულ ფუნქციას, რაზეც მოწმობს კომისის სხდომის ოქმები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის წერილები და ეროვნული არქივის საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის სხდომის ოქმები. ეროვნული არქივის საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის თანხმობის შემდეგ, სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტი ახორციელდება დოკუმენტების განადგურებას, რაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ განხორციელებულა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 12 მარტის N01-54/ო ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაციის მიმღები უფლებამოსილი პასუხისმგებელი პირების: სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის ნანა ალანიას, ამავე სამმართველოს სპეციალისტის შორენა ჭეჭელაშვილის, როგორც შესაძლო დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირების მიმართ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის X თავის შესაბამისად, გამოიცეს მინისტრის ბრძანება დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე;
2. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტომ იმსჯელოს სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის 2019 წლის 4 ივლისის N04-11921 მოხსენებით ბარათში დადგენილი დისციპლინური გადაცდომების მქონე პირების მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებების თაობაზე და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ აცნობოს სამინისტროს;
3. წინამდებარე მასალები, სამართლებრივი შეფასებისათვის, გადაეგზავნოს საქართველოს მთავარ პროკურატურას.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ იურიდიულ დეპარტამენტს ბრძანების პროექტის მომზადება, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს - იმოქმედოს მე-2 რეკომენდაციის შესაბამისად, ხოლო მე-3 რეკომენდაციას შევასრულებთ მინისტრის მოადგილის, ბატონი გიორგი წოწკოლაურის ხელმოწერით.

პატივისცემით,

შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

კახაბერ ძიმისტარიშვილი